

**პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიის ტრანზიცია: საქართველოსა და
მოლდოვას ანალიზი**

ნანი კაცაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოსტ საბჭოთა კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკისა და ხელოვნების მეცნიერება

მიმართულება: პოსტ-საბჭოთა კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების მიმართულების
პროფესორი: დავით დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2020

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის წარმოადგენს საქართველოსა და მოლდოვაში დემოკრატიის ტრანზიციის თაობაზე წარმოებულ კვლევას. დემოკრატიის ტრანზიცია მოიცავს იმ რეფორმებს, რომლებიც გატარებული იქნა ქვეყნების მთავრობების მიერ დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრების, მისი განმტკიცების და დემოკრატიულობის ხარისხის ამაღლების მიზნით. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მოლდოვასა და საქართველოში დემოკრატიის ტრანზიციის პროცესი 90-იანი წლებიდან დღემდე, გაანალიზირებულია მათი შედეგები, წარუმატებლობისა და შეფერხების გამომწვევი მიზეზები. წინამდებარე კვლევის ფარგლებში ერთმანეთთან შედარებულია დემოკრატიზაციის სირთულეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქართველოში და მოლდოვაში დემოკრატიზაციის მიმდინარეობისას. კვლევაში განხილულია საქართველოსა და მოლდოვაში დემოკრატიზაციის კუთხით ამჟამად შექმნილი ვითარება. ერთმანეთთან შედარებულია საქართველოსა და მოლდოვას დემოკრატიულობის მაჩვენებლები. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

კვლევა წარმოებულია თვისობრივი (Process tracing-ის), ასევე შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით. საკვლევო საკითხის განხილვის მიზნით გამოყენებულია ს. ჰანტინგტონის დემოკრატიზაციის მესამე ტალღის კონცეფცია. კვლევა ეყრდნობა საკვლევო საკითხის თაობაზე არსებულ ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურას, მათ შორის სტატიებს, სამეცნიერო ნაშრომებს, კვლევებს და სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებს.

საკვანძო ფრაზები: რეფორმები, დემოკრატიის დონე, დემოკრატიის ტრანზიცია.

Abstract

The present thesis is a study on the transition of the democracy in Georgia and Moldova. The transition of democracy includes the reforms realized by the governments of these countries in order to establish democratic governance, strengthen it and enhance the quality of the democracy. The present paper therefore discusses the reforms focused on the process of the democracy transition in those states that started in the 90s of the past century, as well as the results of the transition, causes of its failure and the aggravation. However, in the present research the difficulties of the democratization encountered in Georgia and Moldova are compared. The current circumstances related to the democratization in Georgia and Moldova is also analyzed in the thesis. The indicators of the democracy of those states are compared. In the conclusion of the thesis the final results of the research are assumed.

The qualitative research method, (Process tracing) and the comparative method is used for the purposes of the current research. The conception of the third way of the democratization developed by S. Huntington is used for the purposes of the research. The research is based on the scientific literature in English and Georgian, including the articles, scientific theses, researches and the reports delivered by various organizations.

Key Words: reforms, level of democracy, democracy transition.